



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 26.03.2019 წლის №120/19¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ლალი ჟორჟოლიანი (სტუდენტი)

ფაქტები

2018 წელს საჩივრის ავტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს თავისი მეზობლების წინააღმდეგ, რომელთა ინტერესებსაც წარმოადგენდა ადვოკატი. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ფულადი ვალდებულების შესრულება და მორალური ზიანის ანაზღაურება. საჩივრის ავტორის განცხადებით ადვოკატი შეთანხმებულად მოქმედებდა მოსამართლესთან ერთად, მოწმეებზე ახდენდა ზეწოლას და აბნევდა შეკითხვებით, ასევე მასზე განახორციელა მუქარა და მოსამართლეს შენიშვნა მიაცემინა, რასაც ადვოკატი არ ეთანხმება და მისი თქმით მომჩივანი იყო აგრესიული და ცდილობდა შეურაცხყოფის მიყენებას მისი მარწმუნებლების მიმართ, ასევე არ იცავდა სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს. შესაბამისად, მოსამართლემ დარბაზის დატოვებისკენ მოუწოდა, რასაც ის არ დაემორჩილა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას სმენა აქვს უმნიშვნელოდ დაქვეითებული და შესაბამისად, მოსამართლესა და ადვოკატს სასამართლო სხდომაზე თხოვდა ხმამაღლა ესაუბრა, რაზედაც უარი მიიღო, ხოლო ადვოკატის თქმით მომჩივანის ცუდად გახდომას ადგილი არ ჰქონია სასამართლოზე, ის ხმამაღლა საუბრობდა და გაუგებრობის შემთხვევაში მომჩივანს ჰყავდა ადვოკატი და მას შეეძლო განემარტა თავისი კლიენტისათვის თუ რაიმე იყო გაურკვეველი. მომჩივანის თქმით, მისი თხოვნის მიუხედავად, მოპასუხე მხარეები სხდომებს არ ესწრებოდნენ.

პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მომჩივანმა ადვოკატის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

სამართლებრივი შეფასება

სასპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატი მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ: ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ) მუხლი); ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1). დისციპლინურმა კოლეგიამ შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი სასამართლო ოქმები და დაადგინდა, რომ არ ჩანს ადვოკატის მხრიდან მუქარის განხორციელება მომჩივანის მიმართ. ადვოკატი წარმოადგენდა არა მომჩივანის, არამედ მოპასუხი მხარის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატის მიერ დამაბნეველი შეკითხვის დასმა ვერ იქნებოდა საჩივრის ავტორის უფლების შემლახავი. ის მოქმედებდა თავისი კლიენტების ინტერესების ფარგლებში და არა საჩივრის ავტორის ინტერესების სასარგებლოდ. რაც შეეხება საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ მას სმენა უმნიშვნელოდ აქვს დაქვეითებული, აღნიშნულთან დაკავშირებით მოსამართლემ მიუთითა, რომ სწორედ ამიტომ ჰყავს წარმომადგენელი და გაუკრვევლობის შემთხვევაში ის დაეხმარებოდა. რაც შეეხება მის პრეტენზიას მოდავე მხარეების სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, სხდომაზე გამოუცხადებლობა ვერ იქნებოდა მომჩივანის უფლების შემლახავი, მოდავე მხარეების უფლებას წარმოადგენდა სასამართლო პროცესში ჩართულიყვნენ წარმომადგენლის მეშვეობით.

დასკვნა

¹ <https://gba.ge/pdf/620e32435c0bc.pdf/120.19,%20ar%20agdzvra,%2026.03.19.pdf>

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რადგან ვერ დაადგინა ადვოკატოს მხრიდან ისეთი ქმედების განხორციელება, სადაც ადგილი ექნებოდა მისი მხრიდან ქცევის წესების დარღვევასა და პროცესის მონაწილე მხარის უფლებების შელახვას.